დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 8

ქ. დმანისი 27 აგვისტო 2025 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. აზერ ალიევი
4. ოლეგი გოშუანი
5. ილია სარსევანიძე
6. მაკა ოკმელაშვილი
7. ლერი ბერუაშვილი
8. მურაზი აბრამიშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. სოფიო ასლამაზაშვილი
11. შალვა ღამბარაშვილი
12. შოთა აკობაშვილი
13. მიხეილი დაუთაშვილი
14. გუმბათ იუსუბოვი
15. შახინ კოიალოვი
16. გამლეტ ისმაილოვი
17. სტამბულ ისაევი
18. ნატიგ ოვჩიევი
19. გუსეინ ისმაილოვი
20. შახინ გასანოვი
21. თორნიკე ნინიაშვილი
22. მერაბი ფოლადიშვილი
23. კახა ოქრიაშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ლევან მანთაშაშვილი, მერიის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი გიორგი გრიგალაშვილი,
სხდომის მდივანი: ტარიელ პაკელიანი
სხდომა დაიწყო: 12. 00
სხდომა დასრულდა: 12. 15
სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელსაც ერთახმად დაუჭირეს მხარი და მიმართა მომხსენებლებს გაეცნოთ საკითხები

დღის წესრიგი

1	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
	მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**	
2	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ		
	მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**	
3	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
	მომხსენებელი:	**გ.გრიგალაშვილი**	
4	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურისათვის“ (ს/ნ428881310) იაპონიის საელჩოსგან, დმანისის მუნიციპალიტეტის სახელით, გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ		
	მომხსენებელი:	**გ.გრიგალაშვილი**	
5	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2025 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის №გ-109.109250287 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ		
	მომხსენებელი:	**ლ.მანთაშაშვილი**	
6	**განკარგულება:** ,,პირის დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის“ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე		
	მომხსენებელი:	**მ.ასლანიშვილი**	
7	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ გრანტის მიღებასთან დაკავშირებით'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №გ-109.109243594 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ		
	მომხსენებელი:	**გ.გრიგალაშვილი**	

1.მომხსენებელი : თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1) საქართველოს მთავრობის 2025 წლის 09 ივლისის #1098 „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ განკარგულების საფუძველზე დმანისის მუნიციპალიტეტის „შემოსულობების“ „გრანტი“-ს მუხლში და ასევე „გადასახდელები“-ს ორგანიზაციული კოდი 04_03 „საჯარო სკოლების

დაფინანსება“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში აისახოს თანხა 170,3 ათასი ლარის ოდენობით და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 170,3 ათასი ლარით (სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი);

2) საქართველოს მთავრობის 2025 სლის 31 ივლისის #1214 „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2024 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ“ განკარგულებით დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 100,0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა აისახოს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის „შემოსულობების“ „გრანტი“-ს მუხლში და შესაბამისად „გადასახდელები“-ს ორგანიზაციული კოდი 02_05_01 „საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 97,9 ათასი ლარისა განისაზღვროს 197,9 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

3) საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის #1207 განკარგულებით განსაზღვრული თანხიდან, ორგანიზაციული კოდი 01_02_04 „თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლიდან ამავე კოდის „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში გადატანილ იქნას თანხა 181,5 ათასი ლარის ოდენობით და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 181,5 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

4) დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელის 2025 წლის 25 აგვისტოს #02-108252376 წერილის საფუძველზე, 06_02_11 ორგანიზაციულ კოდში „შშმპ პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“ აისახოს 2025 წლის ივლისის თვის გამოყოფილი თანხა 17,9 ათასი ლარის ოდენობით შემდეგი მუხლების მიხედვით:

- ✓ საქონელი და მომსახურება - 0,9 ათასი ლარი;
- ✓ სოციალური უზრუნველყოფა - 17,0 ათასი ლარი;

ასევე, ამ კოდის „სუბსიდიები“-ს მუხლიდან „სოციალური მომსახურება“-ს მუხლში გადატანილ იქნას თანხა 17,0 ათასი ლარის ოდენობით და შესაბამისად, „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი ნაცვლად 2,4 ათასი ლარისა განისაზღვროს 3,3 ათასი ლარით, ხოლო „სოციალური უზრუნველყოფა“-ს მუხლი ნაცვლად 0,3 ათასი ლარისა განისაზღვროს 34,4 ათასი ლარით (სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი);

5) ორგანიზაციული კოდი 01_01_02 „დმანისის მუნიციპალიტეტის მერია“-ს „სხვა ხარჯები“-ს მუხლი შემცირდეს 0,5 ათასი ლარით და ეს თანხა გადატანილ იქნას ორგანიზაციული კოდი 02_04_02 „ავარიული ობიექტების შენობების რეაბილიტაცია“-ს „სხვა ხარჯები“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 995,3 ათასი ლარისა განისაზღვროს 995,8 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

6) ა(ა)იპ „დმანისის სერვის ჯგუფი“-ს 2025 წლის 20 აგვისტოს #34-1082523217 წერილის საფუძველზე, ორგანიზაციული კოდი 03_01_01 ა(ა)იპ „დმანისის სერვის ჯგუფი“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლიდან გადატანილ იქნას ამავე კოდის „სუბსიდიები“-ს მუხლში 23,3 ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 2.261,8 ათასი ლარისა განისაზღვროს 2.285,1 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

7) ორგანიზაციული კოდი 01_01_02 „დმანისის მუნიციპალიტეტის მერია“-ს „შრომის ანაზღაურება“-ს მუხლიდან „სოციალური უზრუნველყოფა“-ს მუხლში გადატანილ იქნას თანხა 5,0 ათასი ლარის ოდენობით ლარი და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 30,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 35,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

8) დმანისის ბიუჯეტის შემოსულობების #31 „არაფინანსური აქტივების კლება“-ს კოდში „არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან“ ჭარბმა შემოსავალმა შეადგინა 40,0 ათასი ლარი, ხოლო

„სხვა შემოსავლებში“ „დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი“-ს ჭარბმა შემოსავალმა შეადგინა 50,0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხები, ჯამში 90,0 ათასი აისახოს „გადასახდელები“-ს ორგანიზაციული კოდი 02_05_01 „საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1.531,8 ათასი ლარისა განისაზღვროს 1.621,8 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს **35 305,6** ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებისთვის განმარტა, რომ ცვლილებები გათვალისწინებული იყო არჩევნების დანიშვნამდე, შესაბამისად არ ირღვევა კანონმდებლობა.
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
მომხრე: 18
წინაღმდეგი: თორნიკე ნინიაშვილი, შახინ გასანოვი, მერაბი ფოლადიშვილი, გუსეინ ისმაილოვი, კახა ოქრიაშვილი.

2. მომხსენებელი : თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში თანდართული დანართების შესაბამისად, ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. **განკარგულება** ძალაშია ხელმოწერისთანავე.
აზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
მომხრე: 18
წინაღმდეგი: თორნიკე ნინიაშვილი, შახინ გასანოვი, მერაბი ფოლადიშვილი, გუსეინ ისმაილოვი, კახა ოქრიაშვილი.

3. მომხსენებელი: გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, ცვლილება შევიდეს „„დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №2 დადგენილებაში და ამ დადგენილებით დამტკიცებულ საშტატო ნუსხაში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა და დანართის მე-7 გრაფაში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა ნაცვლად 2044 ლარისა განისაზღვროს 1752 ლარის ოდენობით, ხოლო კოეფიციენტი ნაცვლად 1.40-სა განისაზღვრება 1.20.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

საშტატო ნუსხაში ბოლოს შეტანილი ცვლილება ამოქმედდა 2025 წლის პირველ ივლისს და ამ პერიოდიდან ნუსხის მე-7 გრაფით გათვალისწინებულ თანამშრომელზე თანამდებობრივი სარგო ანაზღაურდა 1752 ლარის ოდენობით, შესაბამისად წარმოდგენილი დადგენილების ამოქმედება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებზე ან ხარჯვით ნაწილზე არ იმოქმედებს.

გ) სხვა ნორმატიულ აქტებში იმ ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანის შესახებ, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების მიღება არ გამოიწვევს სხვა დადგენილებაში ცვლილებას.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

ვ) პროექტის ავტორი (ავტორები):

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია.

აზრი გამოთქვეს: ლერი ბერუაშვილმა, ილია სარსევანიძემ

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 21

წინაღმდეგი: კახა ოქრიაშვილი , მერაბი ფოლადიშვილი

4. მომხსენებელი: გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურისათვის“ (ს/ნ428881310) იაპონიის საელჩოსგან, დმანისის მუნიციპალიტეტის სახელით, გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურს“ (ს/ნ 428881310), დმანისის მუნიციპალიტეტის სახელით, გააფორმოს ხელშეკრულება იაპონიის საელჩოსთან გრანტის/საჩუქრის სახით 70,500.00 (სამოცდაათიათას ხუთასი) აშშ დოლარამდე ან მისი ექვივალენტი ადგილობრივ ვალუტაში, თანხის მიღების თაობაზე, პროექტის „დმანისის მუნიციპალიტეტში ალტერნატიული საბავშვო ბაღის დაარსება“ განსახორციელებლად.

აზრი გამოთქვეს: ოლეგი გოშუანმა

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი .

მომხრე: 21

წინაღმდეგი: კახა ოქრიაშვილი , მერაბი ფოლადიშვილი

5. მომხსენებელი: ლევან მანთაშაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2025 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის №გ-109.109250287 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2025 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის №გ-109.109250287 განკარგულებაში, დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს: სოფო ასლამაზასვილმა

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 21

წინაღმდეგი: კახა ოქრიაშვილი , მერაბი ფოლადიშვილი

6. მომხსენებელი: მაკა ასლანიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,პირის დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის“ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე

ცნობად იქნეს მიღებული ,,პირის დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის“ ანგარიში: სულ შემოვიდა 7 დაინტერესებული პირის განცხადება. აქედან მოთხოვნა დაკმაყოფილდა 3 განცხადებაზე, არ დაკმაყოფილდა 4 განცხადებაზე.

აზრი გამოთქვეს: პაატა ყულიაშვილმა
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
მომხრე: 21
წინაღმდეგი: კახა ოქრიაშვილი , მერაბი ფოლადიშვილი

7. მომხსენებელი: გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ გრანტის მიღებასთან დაკავშირებით'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №გ-109.109243594 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ გრანტის მიღებასთან დაკავშირებით" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 დეკემბრის Nგ-109.109243594 განკარგულება.
აზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
მომხრე: 21
წინაღმდეგი: კახა ოქრიაშვილი , მერაბი ფოლადიშვილი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი: ტარიელ პაკელიანი

2025 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების ნუსხა				
N	პროექტის დასახელება	კატეგორია	პროექტის ღირებულება	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	ქ. დმანისში წმ. ნინოს ქუჩა N 56 ში მდებარე კულტურის სახლში ოთახების და სველი წერტილების რეაბილიტაცია	შენობა ნაგებობა	128,341.00	
2	ქ.დმანისში 26 მაისის ქუჩაზე მდებარე შენობის სრული რეაბილიტაცია სპორტ სკოლისთვის	შენობა ნაგებობა	95,633.00	
3	ქ. დმანისში წმ. ნინოს ქ. N56-ში სპორტული დარბაზის შენობის სრული რეაბილიტაცია	შენობა ნაგებობა	111,261.00	
4	ქ. დმანისში N1 საბავშვო ბაღის შენობის სახურავის რეაბილიტაცია	შენობა ნაგებობა	52,207.00	
5	ქ. დმანისში კოსტავას ქუჩაზე მდებარე სასაფლაოს შემოღობვის და საპირფარეშოს მოწყობა	კეთილმოწყობა	126,805.00	
6	სოფ გომარეთის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია სარეაბილიტაციო სამუშაოები-პკ0+00-პკ1+20	გზები	245,043.00	
7	1. დმანისის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვემო ოროზმანში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა, ასევე გარე სივრცისთვის ტრენაჟორების 2.მოწყობა დმანისის მუნიციპალიტეტის, სოფელ ზემო ოროზმანში გარე სივრცისთვის ტრენაჟორების მოწყობა.	კეთილმოწყობა	447,800.00	
8	დმანისის მუნიციპალიტეტის, სოფელ დაგარახლოში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა	კეთილმოწყობა	409,800.00	
9	1. ქ. დმანისში მერიის ად. შენობის ცენტრალური გამანაწილებელი კარადის და ცენტრალური ხაზის მოწყობა 2.ქ. დმანისში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მდებარე სარიტუალო დარბაზის შენობის ელ. გაყვანილობის ხაზის მოწყობა	შენობა ნაგებობა	9,324.00	
10	სოფელ ზემო კარაბულახის სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია	შენობა ნაგებობა	262,301.00	
11	ქ. დმანისში: დემეტრე თავდადებულის ქუჩის სანიაღვრე არხის მოწყობა	გზები	14,755.00	
12	26 მაისისა და გორგასლის ქუჩების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	გზები	235,446.00	
13	სოფელ შინდლარში მინი სტადიონის მოწყობა	კეთილმოწყობა	117,113.00	
14	დმანისის სიონის მისასვლელი გზისა და ციტადელის განათების მოწყობა	გარე განათება	100,329.00	
15	ქ. დმანისში 25 მაისის ქუჩ N15 სახურავის რეაბილიტაცია	შენობა ნაგებობა	176,951.00	
16	ქ. დმანისში აღმაშენებლის ქუჩის მოასფალტების და ჭუბერის N3 ჩიხში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაო	გზები	850,000.00	2024 წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 400000 ლარს, საიდანაც 350000 ლარი გრანტის წილია, ხოლო 50000 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტის; 844998 ლარი ანაზღაურება კი მოხდება 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან;
17	2025 რგფ და მთის ფონდის პროექტების თანადაფინანსება	სხვა	411,216.00	

18	2025 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თანადაფინანსება	სხვა	1,200,000.00	
19	2025 წლებში საზედამხედველო/საექსპერტო მომსახურება	სხვა	257,000.00	
20	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	სხვა	293,000.00	
21	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ: ბოსლებში შიდა ქუჩებში სანიაღვრე არხების მოწყობა	გზები	0.00	
22	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადში ეკლესიის არსებული ტერიტორიის შემოღობვი	კეთილმოწყობა	59,597.00	
23	სოფელ კამარლოში მინი სტადიონის მოწყობა	კეთილმოწყობა	204,502.00	
24	სოფ მაშავერაში სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია	შენობა ნაგებობა	0.00	
25	ქ. დმანისში მოხუცების სახლში ფარდულის მშენებლობა	შენობა ნაგებობა	6,000.00	
26	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო კარაბულახის არსებული სასმელ წყლის სატუმბი სადგურის შენობაში სოფ კიზლაჯლოსთვის და ქვემო კარაბულახისთვის ბუსტერული ძრავების მოწყობის სამუშაოები	წყლები	38,965.00	
27	ქ. დმანისში 9 აპრილის ქ. N34 საცხოვრებელი კორპუსის სახურავის მოწყობა	შენობა ნაგებობა	38,000.00	
28	ზოგადი ხედვის და ჭკვიანი კამერების მოვლა პატრონობა	სხვა	40,000.00	
29	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ ქვემო კარაბულახში მინი სტადიონის მოწყობის და ქ. დმანისში წმინდა ნინოს ქ. N30 -ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცის სამუშაობის თანადაფინანსება	შენობა ნაგებობა/კეთილმოწ ყობა	68,643.00	საქართველოს მთავრობის განკარგულებების საფუძველზე, 2023–2024 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხებიდან ნაშთი შეადგენს 208890 ლარი
30	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარეთში კულტურის ცენტრის მშენებლობა	შენობა ნაგებობა	89,410	
31	სოფ მთისძირში გარე განათების მოწყობა	გარე განათება	5,630	
32	სოფ გუგუთში ერთ ერთ ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა	გზები	17,480	
33	სოფ განთიადში ორი გაჩერების მოწყობა	გზები	20,000	
34	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში სოფლების მისასვლელი და შიდა გზების რეაბილიტაცია, მოქალაქეთა ჩართულობის თანადაფინანსება	გზები	70,000	
35	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. ბაზაქლოში სკვერის მოწყობის სამუშაოების თანადაფინანსება	კეთილმოწყობა	90,000	
	ჯამი		6,292,552	5952552
2022-2024 წლის პროექტების დასრულებისთვის				
1	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარეთში ორ ლოკაციაზე ღობის მოწყობის სამუშაო	კეთილმოწყობა	10,657	
2	2024 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თანადაფინანსება	სხვა	108,135	
3	2024 რგფ და მთის ფონდის პროექტების თანადაფინანსება	სხვა	106,377	
4	სოფ ველისპირში სასმელი წყლის შიდა ქსელი მოწყობის სამუშაოები	წყლები	75,340	
5	ქ. დმანისში ცურტაველის ქუჩაზე არსებული ეკლესიის მისასვლელი სივრცის რეაბილიტაცია	გზები	108,535	
6	სოფ გომარეთში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები	წყლები	34,058	
7	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარეთში კულტურის ცენტრის მშენებლობა	შენობა ნაგებობა	237,790	
8	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჭიდაო დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	შენობა ნაგებობა	288,092	
9	2024 წლებში საზედამხედველო/საექსპერტო მომსახურება	სხვა	4,336	
10	სამუშაოების ხარისხის მიზნით დაკავებული 2.5%	სხვა	81,518	
			1,054,838	